საპროექტო ფასადი



შპს "კივი"			დამკვეთი დ. სოლოღაშვილი	დაკვეთა №
დირექტორი	ნ.ამხაიძე		კოსტავას N70-ში N4 შენობის რეკონსტრუქციის პროექტი	არქიტექტურული ნაწილი
არქიტექტორი	დ.დანელია			
შემმოწმ.	ჯ.ზაქიაშკ			
			ფასადი ეზოს მხრიდან	მ 1:100

არსებული გეგმა



არსებული ფასადი



შეთანხმებულია სამსახურის უფროსის ბრძანებით 03/1437 05.12 2007

შპს "კივი"			დამკვეთი დ. სონღულაშვილი	დაკვეთა №
დირექტორი	ნ.ფხაიძე		კოსტავას N70-ში N4 შენობის რეკონსტრუქციის პროექტი	არქიტექტურული ნაწილი
არქიტექტორი	დ.დანელია			
შეამოწმა	ა.ზაქიასკი			
			ფასადი ეზოს მხრიდან	მ 1:100
				ფურც / სულ ფურც



შეთანხმებულია
03/1477 05.12.2017

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება № 2543009

გაცემის თარიღი: 14/04/2016 გაცნობის თარიღი: 14/04/2016

განცხადების ნომერი: AR1393989

შემოსვლის თარიღი: 06/04/2016

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.10.13.031.006.04.506
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 323.28 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "გამსახურდიას 5" (404882926)

- საკადასტრო კოდი: 01.10.13.031.006.04.505
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 249.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "გამსახურდიას 5" (404882926)

ნომენკლატურა :

- **სამართლებრივი საკითხები**
- **ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- მისამართი: თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ბრძანება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 05 დეკემბრის №03/1437 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 06 აპრილის №AR1393989 განცხადებით მომართა ირაკლი ბარნაბიშვილმა თანაგანმცხადებელ ნუკრი ლიპარტაშვილთან ერთად და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 05 დეკემბრის №03/1437 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 05 დეკემბრის №03/1437 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, კოსტავას ქ. №70–ში, (იგივე გამსახურდიას გამზ. №5) მდებარე შენობის (№4) რეკონსტრუქციის (მიშენებით და ფასადის შეცვლით) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებელის განმარტებით, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 05 დეკემბრის №03/1437 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში პირველი სართულის საერთო ფართის ანგარიშში გამორჩენილია საზაფხულო ფართი, რის გამოც შეცდომითაა დაფიქსირებული შენობის პირველი სართულის ფართი (საპროექტო) – 249.0 მ^2, ასევე საერთო ფართი – 1145.39 მ^2 და საერთო საპროექტო ფართი – 841.52 მ^2

წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 05 დეკემბრის №03/1437 ბრძანებაში შენობის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართის – 1166.39 მ^2; მათ შორის საპროექტო ფართის 862.52 მ^2 და პირველი სართულის ფართის – 270.0 მ^2–ის დაფიქსირება.

სამსახურმა შეისწავლა №AR1393989 განაცხადით წარმოდგენილ დოკუმენტაცია და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 05 დეკემბრის №03/1437 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი, რის შედეგადაც მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორება და შენობის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო (სასარგებლო) ფართის – 1166.39 მ^2; მათ შორის საპროექტო ფართის 862.52 მ^2 და პირველი სართულის (სასარგებლო) ფართის – 270.0 მ^2; მათ შორის საპროექტო ფართის 270.0 მ^2 –ის დაფიქსირება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 05 დეკემბრის №03/1437 ბრძანებაში და შენობა–ნაგებობის ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: მოშენების ფართი – 93.70 კვ.მ; საერთო (სასარგებლო) ფართი – 1166.39 კვ.მ მათ შორის: საპროექტო – 862.52 კვ.მ, არსებული – 303.87 კვ.მ; სარდაფის საერთო (სასარგებლო) ფართი – 258.39 კვ.მ მათ შორის: საპროექტო – 84.70 კვ.მ, არსებული – 173.69 კვ.მ; I სართულის საერთო (სასარგებლო) ფართი – 270.00 კვ.მ მათ შორის: საპროექტო – 270.00

კვ.მ; II სართულის საერთო (სასარგებლო) ფართი – 273.00 კვ.მ მათ შორის: საპროექტო 207.19 კვ.მ, არსებული 65.81 კვ.მ; III სართულის საერთო (სასარგებლო) ფართი – 273.00 კვ.მ მათ შორის: საპროექტო – 208.63 კვ.მ, არსებული – 64.37 კვ.მ; IV სართულის საერთო (სასარგებლო) ფართი – 92.00 კვ.მ მათ შორის საპროექტო 92.00 კვ.მ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 05 დეკემბრის №03/1437 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 05 დეკემბრის №03/1437 ბრძანებასთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.